ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 202 - - -

1 ივნისი
"- - - "- - - - - - - - 2021 ∀

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში (საკადასტრო კოდი: №01.20.01.052.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, თამარ მეფის ქუჩის II ჩიხის კორპუს №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.20.01.052.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №21.642.724 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში, მდებარე 151.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ისა და №2-ის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.052.057) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ავთანდილ მჭედლიძისთვის (პ/ნ: 01008043957) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე